



თარგმანი ინგლისურიდან

საქართველოში აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ
მიმართულ ღონისძიებათა ქვეყნის ერთიანი საკოორდინაციო საბჭო

საანგარიშო პერიოდი: 2017 წლის ივნისი - აგვისტო

ანგარიშში ასახულია ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს მიერ 2017 წლის ივნისი -
აგვისტო პერიოდში განხორციელებული საქმიანობის ძირითადი ასპექტები

საფუძვლები

საქართველოს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო (ქსს) წარმოადგენს გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული ტუბერკულოზისა და აივ/შიდსის პროგრამების განხორციელების ცენტრალურ მექანიზმს. ქსს წარმოადგენს მრავალსექტორულ პლატფორმას ქვეყნის მიერ პროგრამებზე პასუხისმგებლობისათვის, აივ-ის და ტუბერკულოზის პოლიტიკისა და პროგრამული საკითხების გარშემო ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებისათვის. ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო თავის შემადგენლობაში აერთიანებს როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლებს, მათ შორისაა სამთავრობო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მულტი- და ბილატერალური პარტნიორები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, კერძო ბიზნესის წარმომადგენლები, დაავადებით დაზარალებული პირები და პაციენტები. ქსს-ს საქმიანობა რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 ივნისის დადგენილებით და 2015 წლის 1 ივნისის ქსს-ს სახელმძღვანელო დოკუმენტით.

საზედამხედველო საქმიანობა/ ქსს-ს სხდომები

2017 წლის 17 ივნისს საზედამხედველო კომიტეტმა განახორციელა ვიზიტი ტუბერკულოზის მობილურ ამბულატორიაში. ვიზიტი მიზნად ისახავდა გლობალური ფონდის მხარდაჭერით მიმდინარე მობილური ამბულატორიის

საპილოტე პროექტის ახლოს გაცნობას, ანტიტუბერკულოზური მკურნალობის სერვისის მიწოდების მონიტორინგს, პროგრამის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი შესაძლო გამოწვევების იდენტიფიცირებას და მათი გადაჭრის გზების დასახვას. ვიზიტის მსვლელობის მოხდა გასაუბრება საპილოტე პროექტის განხორციელებაში ჩართულ თანამშრომლებთან და პროგრამის ბენეფიციარებთან.

ქსს-ს სხდომები

ანგარიშგების პერიოდში გაიმართა ქსს-ს ერთი სხდომა (87-ე სხდომა, 2017 წლის 7 აგვისტო). სხდომის მსვლელობისას განხილულ იქნა გლობალური ფონდის პროექტების მიმდინარე სტატუსი, საზედამხედველო კომიტეტის ანგარიში, დეშბორდის რეკომენდაციები, გლობალური ფონდის ალოკაციის წერილი, წარსადგენი განაცხადის ფორმატი, პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის როლი განაცხადების შემუშავების პროცესში. სხდომის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები: მომზადდეს პროგრამის გაგრძელების მოთხოვნები აივ და ტბ გრანტებისათვის, მოხდეს ორი ცალკეული განაცხადის წარდგენა (ტბ და აივი), პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტს მიენიჭა განაცხადის შემუშავების პლატფორმის ფუნქცია. ფართო დიალოგის რეჟიმის უზრუნველყოფის და სამუშაო პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილეობის, განსაკუთრებით კი ძირითადი დაზარალებული და მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის უზრუნველყოფის მიზნით, მოხდეს კომიტეტის შემადგენლობის გაფართოება. წევრებს ეთხოვათ აღნიშნული ინფორმაციის დაინტერესებულ მხარეებს შორის გავრცელება, შესაბამისი განცხადება განთავსდა ქსს-ს ვებ-გვერდზე.

გარდამავალი პერიოდის დაგეგმვა/გარდამავალი პერიოდის გეგმა

ზიანის შემცირების ევრაზიის ქსელის (EHRN) და მამაკაცთა ჯანმრთელობის ევრაზიის კოალიციის (ECOM) მიერ მოხდა გარდამავალი პერიოდის გეგმის საინფორმაციო ჩანაწერის მომზადება, რომელიც მიზნად ისახავს ღიობების შეფასებას და რეკომენდაციების გაცემას. შემუშავდა ონლაინ ინსტრუმენტი.

გარდამავალი პერიოდის დაგეგმვა/ ქსს-ს ევოლუცია/პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტი

2017 წლის 26-30 ივნისს ქვეყანაში იმყოფებოდნენ Euro Health Group-ის (EHG) კონსულტანტები, ბ-ნი ტიმ კლერი და ქ-ნი სანია მატოვიჩი. ვიზიტი მიზნად ისახავდა შესაბამის მხარეებთან კონსულტაციების გამართვას ქსს-ს გარდამავალი გეგმის შემუშავებისათვის. გაიმართა შეხვედრები და გასაუბრება დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრთან, მათ შორის სამთავრობო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციების და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან. კონსულტანტები შეხვდნენ ქსს-ს თავმჯდომარეს, ქსს-ს თავმჯდომარის მოადგილეს, პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის თავმჯდომარეს. ვიზიტი წარმოადგენდა 5 ქვეყანაში (ეთიოპია, საქართველო, განა, გვინეა, მოლდოვა) ჩატარებული ქსს-ს შესწავლის გამაგრებლელ ფაზას და უშუალოდ ქსს-ს გარდამავალი გეგმის შემუშავებისკენ მიმართულ ეტაპს.

2017 წლის 28 ივნისს გაიმართა პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის მე-9 შეხვედრა. ვიზიტის ამოცანები იყო EHG კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ქსს ევოლუციის გეგმის მონახაზის თაობაზე ჯგუფის წევრების ინფორმირება და დისკუსია; ქსს ევოლუციის გეგმის შემუშავების პროცესში პასკ-ის როლის და ჯგუფის შემდგომი მუშაობის წესების განსაზღვრა. გადაწყდა რომ, ქსს-ს მიერ შეთანხმების თანახმად, პასკ-ი იქნება ძირითადი პლატფორმა და დაიწყებს დისკუსიების ქსს-ს ევოლუციის გეგმის თაობაზე და წარუდგენს რეკომენდაციებს ქსს-სა და კონსულტანტებს.

პასკ-ის შემდეგი შეხვედრა გაიმართა 2017 წლის 11 აგვისტოს. შეხვედრა მიზნად ისახავდა ქსს-ს ევოლუციის ძირითადი სტრატეგიული ვერსიების შესახებ და ქსს-ს მომავალ მარეგულირებელი ჩარჩოს, სტრუქტურის, ფუნქციების და დაფინანსების მექანიზმების შესახებ დისკუსიის წარმართვას. პასკ-ის რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა და შეთანხმდა ქსს-სთან.

დაფინანსების მოთხოვნის შემუშავება/პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტი

2017 წლის 22 სექტემბერს გაიმართა პროგრამების გაგრძელების მოთხოვნის

შემუშავების პროცესის დაგეგმისათვის მიძღვნილი შეხვედრა. შეთანხმდა, რომ პასკ-ი დაასრულებს მუშაობას მოთხოვნის შემუშავების სამუშაო გეგმაზე; გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული (PIU) წარუდგენს კომიტეტს უტილიზაციის მონაცემებს და დანახარჯების შუალედურ მონაცემებს მოთხოვნის შემუშავების პროცესის ინფორმაციის უზრუნველყოფის მიზნით. გამოიკვეთა და შეთანხმდა პროგრამების გაგრძელების მოთხოვნის შემუშავების 3 პროდუქტი: (1) პროგრამის გაგრძელების ვალიდაცია; (2) გადაწყვეტილება პროგრამებს შორის თანხების გადანაწილების შესახებ; (3) აპლიკანტის თვითშეფასების ფორმის შევსება და ცირკულაცია.

დაფინანსების მოთხოვნების ღია და გამჭვირვალე ფორმატში შემუშავების და პროცესში ძირითადი დაზარალებული და მოწყვლადი ჯგუფების სრულყოფილი მონაწილეობის მიზნის განხორციელების უზრუნველსაყოფად, ასევე ქსს-ს 87-ე სხდომის გადაწყვეტილების თანახმად ქსს-მ გამოაცხადა პასკ-ის შემადგენლობის გაფართოება. კომიტეტის შემადგენლობაში შეყვანილ იქნა ყველა ის პირი, ვინც გამოთქვა აღნიშნულის სურვილი.

ტუბერკულოზის სფეროში კლინიკური კვლევების კოორდინაციის ჯგუფი

ანგარიშგების პერიოდში ჯგუფის შეხვედრა არ ჩატარებულა. 2017 წლის ივნისი-სექტემბერი პერიოდისთვის ტუბერკულოზის სფეროში კლინიკური კვლევების სტატუსი წარმოდგენილია ქვემოთ:

endTB

2016 წლის დეკემბერში ხელი მოეწერა endTB მე-2 კომპონენტის ფარგლებში თანამშრომლობის შეთანხმებაზე ტუბ. ცენტრსა და MSF-ს შორის; კვლევა იმყოფება განხორციელების აქტიურ ფაზაში.

კვლევაში ჩართვის სტატუსი 30 სექტემბრის მდგომარეობით შემდეგნაირია: მოხდა 12 პაციენტის სკრინინგი კვლევაში ჩართვისთვის. ჩართულ იქნა 8 პაციენტი. აქედან ერთი პაციენტი გაირიცხა კვლევიდან (ადრეული გარიცხვა), დანარჩენი 7 ღებულობს

მკურნალობას. სპონსორმა და ქვეყნის ადგილობრივმა მონიტორმა სექტემბერში განახორციელეს მონიტორინგის ვიზიტი.

STREAM

მიღებულია თანხმობა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან და ადგილობრივი ეთიკური კომიტეტისგან; განხორციელდა საიტის ინიციატა და პროტოკოლის ტრენინგი; ხელი მოეწერა ხელშეკრულებას სპონსორთან. საიტი ოფიციალურად გახსნილია პირველი შესაბამისი პაციენტის სკრინინგისთვის.

STAND

საქართველოს საიტში ორი ჩართული პაციენტიდან ერთი გაირიცხა კვლევიდან (ადრეული გარიცხვა) კვლევის კლინიკური მონიტორის გადაწყვეტილებით. მეორე პაციენტის საკონტროლო ვიზიტი განხორციელდა პირველ სექტემბერს. პაციენტმა დაასრულა მკურნალობა და წარმატებულად დაასრულა კვლევის კველა ვიზიტები.

Second patient has conducted last follow-up visit on 1st September. Patient has been cured and had successfully completed all study visits.

ადგილობრივი მონიტორის მიერ პროექტის ფარგლებში ბოლო მონიტორინგი განხორციელდა 7 სექტემბერს. კვლევა დაიხურება ყველა საიტზე 2017 წლის დეკემბერში.

NIX-TB

სპონსორმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში არ დაიწყოს კვლევა ნებართვის მიღების შეყოვნების გამო. მხარეები შეთანხმდნენ წამოიწყოს შემდეგი კვლევა - ZeNIX-TB.

ZeNIX-TB

მიღებულია თანხმობა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან და ადგილობრივი ეთიკური კომიტეტისგან; ხელშეკრულების

გაფორმება მხარეებს შორის (ტუბერკულოზის ალიანსი წარმოდგენილი CRO, PPD მიერ და ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი) დაგეგმილია 10 ოქტომბრისთვის. კვლევა 5 წლის განმავლობაში გასტანს და ჯამურად საქართველოში დაგეგმილია 12 MDR და/ან პრე- XDR და/ან XDR ტბ პაციენტების ჩართვა.

პირველი პოტენციური პაციენტის სკრინინგი/ჩართვა იგეგმება 2017 წლის ბოლოსთვის.

გლობალური ფონდის გრანტები

გლობალური ფონდის გრანტები მიმდინარეობს დასახული გეგმის თანახმად.

30 სექტემბერი, 2017 წელი

ანგარიში მოამზადა ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სამდივნომ

ანგარიში ნათარგმნია ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს მიერ